სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში ფაკულტეტი) დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ფაკულტეტის დოქტურატურაში სწავლის ყოველსემესტრულ (ერთი სემესტრის განმავლობაში) დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე დოქტორანტის სამეცნიერო და აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. ყოველ სემესტრში თსუ რექტორის 2015 წლის 29 ივლისის №126/01–01 ბრძანებისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე წესის საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა არაუმეტეს 5 დოქტორანტისა.

3. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისია.

4. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ის აკადემიური პერსონალი, რომელიც არის დაფინასების მისაღებად კონკურსში მონაწილე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

5. დაფინანსების მისაღებად ყოველი სემესტრის დასწყისში ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის დოქტორანტებს, რომელსაც აქვს თსუ რექტორის №126/01–01 ბრძანებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციის სახეობათა ჩამონათვალიდან („სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია“) რომელიმე ტიპის პუბლიკაცია და რომლის GPA არ არის 3.00-ზე ნაკლები.

6. კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

- დამატებითი სემესტრის დოქტორანტები;
- დასაფინანსებელ სემესტრში სტატუსშეჩერებული დოქტორანტები;
- დოქტორანტები, რომლებსაც სრულად არ აქვთ დაფარული წინა სემესტრის სწავლის საფასური;
- დოქტორანტები, რომლებსაც სწავლის საფასური უფინანსდებათ საგრანტო პროექტის ფარგლებში;
- დოქტორანტები, რომელთა სწავლის საფასურს აფინანსებს რომელიმე ორგანიზაცია ან ფონდი.

7. კომისია ვალდებულია კანდიდატთა შეფასებისას დაეყრდნოს რექტორის №126/01–01 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ კლასიფიკაციას, სადაც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის სახეობა რიგითი ნომრის მიხედვით მოცემულია რანჟირებულად, რეიტინგის კლებით. იმ შემთხვევაში, თუკი სამეცნიერო–კვლევითი პროდუქციის სახეობების მიხედვით გამოვლინდება 5–ზე მეტი თანაბარი რეიტინგის მქონე დოქტორანტი, კომისია იხელმძღვანელებს მათი GPA-ით.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- სამეცნიერო პუბლიკაციების სია (იხ. დანართი);
- სამეცნიერო პუბლიკაციის არსებობის დამადასტურებელი საბუთი

9. კომისია განიხილავს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აფასებს დოქტორანტებს დანართი 1-ის შესაბამისად.

10. საუნივერსიტეტო დაფინსებისთვის ფაკულტეტიდან შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება თსუ-ს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად.

დოქტორანტის სამეცნიერო პუბლიკაციების სია

№	სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობა	დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი/ები (მიუთითეთ სათაური, გამოცემის წელი, ადგილი, ჟურნალის/კრებულის დასახელება, გვერდები) არსებობის შემთხვევაში ელექტრონული მისამართი
1	მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.	
	იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ.	
	სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ.	
2	სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ.	
	სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით.	
	ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია).	
3	რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN	

	კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქ-ციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის.	
	სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინ-დექსირებულია Google Scholar-ში.	
	ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმარ-თულებებისთვის რეცენზირებული სა-მეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რო-მელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქ-ციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.	
	სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენ-ციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.	
4	საკონფერენციო თეზისები, ინდექსირე-ბული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ.	
	საკონფერენციო თეზისები, ინდექსირე-ბული Google Scholar-ის მიერ.	
5	გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურ-ნალში.	
6	გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპუ-ლარულ ჟურნალში.	

დოქტორანტის ხელმოწერა _____